ბაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## „ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესასხედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაშიასხალი წიგნი:

**გორქილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.



ქართული თეატრი

სამშაბათს, 23 იანვარს,

ბენეფისი

მელიქოვისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**ოტელო**

ტრაგედია 5 მოქმ. შექსპირისა

ოტელლოს როლს ასრულებს ბ-ნი მესხი.

დეზდემონას როლს აასრულებს მ. მ. საფაროვისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, მელიქოვისა; ბ-ნნი მესხი, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, ცაგარელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე



კვირას, 21 იანვარს,

ტფილისის სობრანიაში

გამართული იქნება

**კონცერტი**

«წერა კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ზარუდნაია, უნტილოვისა და ბ-ნნი: იპპოლიტოვ-ივანოვი, კასნერი, კოლჩინი, სარაჯოვი, გ. მესხი, თ. კ. თუმანოვი, ტხორჟევსკი, ქართული ხორო რატილის ლოტბარობით და სხვ.

კონცერტს შემდეგ იქნება

ტ ა ნ ც ე ბ ი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება „სობრანიის" შვეიცართან.


## ახალი ამბავი

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ საპერნის ქუჩაზედ ერთს ტრაქტირში შავმა სახადმა იჩინა თავიო. მას უკან სახადი გავრცელდა და ამ დღეებში სამკურნალო საგუბერნიო გამგეობა იძულებული შეიქმნა იმ უბანში დაეკეტა რვა დუქანი, რომლის პატრონებს ზემოხსენებული გადამდები სენი გამოაჩნდათ. ავადმყოფნი ტფილისის სამკურნალოში იქმნენ გაგზავნილნი.

*** მოსკოვის საისტორიო და საარხეოლოგიო საზოგადოების ნაწერებში, რომელიც ცალკე წიგნებად იბეჭდება ხოლმე და ეწოდება „Труды общества исторіи и археологіи, დაბეჭდილია სხვათა შორის წერილი ბ-ნ ა. ხახანაშვილისა საქართველოს შესახებ. წერილი საზოგადო მიმოხილვაა ყველა იმ ცოდნისა, რაც დღეს აქვს მეცნიერებას საქართველოსა და ქართველების შესახებ. სათაური ამ წერილისა არის: „Общій обзоръ состоянія грузинологіи". ეს წერილი, თუ არა ვსცდებით, ის პირველი ლექციაა, რომელიც ბ ნმა ხახანაშვილმა წაიკითხა ლაზარევ აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტში.

*** ბარის ოსეთი: დადგა თუ არა ახალი წელი, მაშინვე მოჰყვა ქურდობის ნიშანიც. სხვა-და-სხვა ქურდობას გარდა, ამ თთვის ოთხს სოფ. დარკოხში იმსხვერპლეს ქურდებმა იმავ სოფლელი საბრალო თუაევი. აი როგორ იყო საქმე: ამ თუაევის უმცროსი ძმა საქონლის ახლო იწვა და ჰყარაულობდა საქონელს. შუაღამის შემდეგ ქურდებმა დაუწყეს მტვრევა თუაევის ეზოს ლობეს იმ ალაგას, საცა ება საქონელი. ეს ამბავი გაიგო, რასაკვირველია, ამ უმცროსმა ძმამ, მიეპარა ქურდებ[illegible] დააცემინა, მერე მეორე, მაგრამ მისდა საუბედუროდ არც ერთი არ გაუვარდა. რაკი თოფი არ გაუვარდა, წაიღდა და შეატყობინა უფროსს ძმას, რომელსაც შინ ეძინა: ქურდები საქონელს გვპარავენო. უფროსი ძმა დაფეთიანებულივით გამოვარდა გარეთ, არც თოფი, არც დამბაჩა თან არ გამოიყოლა, მარტო ხანჯლით გადახტა ლობეზედ და პირდაპირ შეუტია ქურდებს. ქურდებს მიუახლოვდა თუ არა თუაევი, სამი თოფი ერთად დაახალეს საცოდავს. საბრალო თუაევს ერთი ტყვია შიგ შუბლში მოხვდა, მეორე კისერში და მესამეც ბარძაყში. უბედურმა იქვე ჩაიკეცა და კრინტი ველარ დასძრა. ქურდებმა თავს უშველეს და იმათი კვალიც ველარავინ იპოვნა.

*** იქიდამვე: სიმინდის ფასმა ძალიან დაიწია ბარის ოსეთში. კავკავის რკინის გზის სადგურებში ჯერ სულ არავინ ყიდულობს და თუ ვინმე ყიდულობს, ისინიც მერკას შვიდ შაურად იღებენ. კავკავის რკინის გზის სადგურებში ფუთ ნახევარია მერკა. ხალხი ძალიან სწუხს, ეგი თუ აღარ მოიმატოს სიმინდის ფასმა და რიღათი უნდა წავიღოთ ჩვენი თავი იოლადაო.

*** ცხინვალი: ახალ-წლის წინა ღამეს ერთი სამწუხარო ამბავი მოხ[illegible]ში მიიყვანეს იმ ღამეს ერთი მეტად შეწუხებული მებაღე, რომელსაც ჩვენს დაბაში არავინ არა ჰყოლოდა, არც

## ფელეტონი

### სამეურნეო იარაღებისა და მაშინების განყოფილება 1889 წლის კავკასიის გამოფენისა.

(დასასრული*)

III

სამკალი, სათიბი და მოსავლის შესაგროვებელი იარაღები და მაშინები.

ნამგლები და ცელები წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა საუკეთესო ქარხნისა. ლეიპოლდ ვეისის მიერ (ველიამინოვის ქუჩა, № 16) წარმოდგენილი იყო:

1) ვენერისა და კამპ. ცელები ფრანკფურტიდამ.

2) ოფნერის განთქმული ცელები ვოლფბერიდამ.

3) იოგან შენაურის ნამგლები გროსტენიდამ.

გოლდლიუსტის მიერ წარმოდგენილი იყო ვესტელ ალგაერის და კამპ. ცელები ვენიდგან.

მიუნხისა და ვეისის მიერ წარმოდგენილი იყო რუსულ-გერმანიულის ნალის, ლურსმებისა და ცელების ქარხნისა.

ეკელბირტისა და პივოვაროვის მიერ — ძველადვე განთქმული ცელები და ნამგლები ტრაუცელისა კენდებერგიდამ (შტირია).

ამათ შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებით ტრაუცელის ცელებმა და ნამგლებმა და აგრეთვე ცელებმა რუსულ-გერმანულის ქარხნისამ. კარგის ცელების მოყვარეს ვურჩევთ ყურადღება მიაქციოს ამ ახალის ქარხნის ცელებს. ადრესი ქარხნისა შემდეგია:

Русско-германскій заводъ косъ и подковныхъ гвоздей близь Вильно, Либаво-роменской жел. дороги. Представители *Мюнхъ* и *Вейсъ*, въ Тифлисѣ.

შემდეგ აუფერმანის მიერ იყო წარმოდგენილი მაკ-კორმიკის სამკალი მაშინა „დეზი" — ფასი 325 მან. და იმასივე თივის სათიბი მაშინა — ფასი 225 მან.

ეს სამკალი მაშინა ჩვენ თითონ არ გვინახავს მუშაობაში, მაგრამ დიდი ქება-კი გაგვიგონია არა ერთის მემამულისაგან რუსეთში. ამისი სიკეთე იმაშია, რომ სადა, არა-რთულის კონსტრუქციისაა, მსუბუქი, და 7—8 დღიურამდე ყანასა მკის დღეში. რაც შეეხება მაკ-კორმიკის სათიბს, ეს მაშინა ჩვენ თითონა გვაქვს ს. ოსიაურს და ეს შვიდი წელიწადია თითქმის, რაც ყოველ წლივ ვამუშავებთ და ვერაფერში ვერ დავემდურებით. ძალიან სადა კონსტრუქციისაა და ადვილად სახმარი. დღეში შეღავათით ოთხ დღიურზე მეტსა სთიბავს, თუ ბალახი წაქცეული არ არის და თუ ადგილიც სწორეა.

ამასვე წარმოდგენილი იყო ცხენით სატარებელი რკინის ფოცხი: „ახალი გოლინგსვორტი" ეკკერტისა, ნიშნით H. R., ფასი 100 მან. ამ ფოცხს მიაქვს სიგანე ველისა 3 არშ. და 3 გოჯი. ხმარობენ თივისა, ანუ სხვა მოთიბულის ჰირნახულის ასაღვარეულებლად, მეტად ჩინებული იარაღია. ამ გვარივე ფოცხი ესრედ წოდებული „ტიგრი" ჩვენცა გვაქვს და დიდს შემწეობას გვაძლევს თივის ჩინებულისა და სუფთა მუშაობით.

თივის შესაკრავი საქაჯავები იყო წარმოდგენილი ორი. ერთი დიდი თვლებზე დადგმული ემილ ლიპჰარტისა და კამპ. მოსკოვიდგან, დილერიკის სისტემისა, რომელიც სიდიდის გამო ვერ იქმნა გამოცდილი. ვგონებთ ჩვენში ძნელად ვისმე დასჭირდეს ამოდენა თივის საქაჯავი.

მეორე პატარა საქაჯავი იყო წარმოდგენილი რენკვისტის მიერ, ამერიკულის სისტემისა. ჰკრავდა ხუთ ფუთიან ცალებს. ფასი ამისი 100 მან. ეს საქაჯავი თვლებზე რომ იყოს გამართული და ჰქონდეს უფრო მაგარი მასალა ნახმარები ზემო ფიცრად, კარგი და მოსაწონი იარაღი იქნებოდა და ბევრიც შეიძენდა ჩვენში. გამოცდის დაწყობის უმალ ზემო ფიცარი შუაზე გასკდა და ერთის ცალის მეტი ველარ შეჰკრა. შეუძლიან დღეში 400—500 ფუთის თივის შეკვრა. მუშად უნდება სამი კაცი.

IV

სალეწი და მარცვლის გასანიავებელი და დასარჩევი მაშინები.

აუფერმანის მიერ წარმოდგენილი იყო ეკკერტის ორთქლის სალეწი მაშინა, ნიშნით NGL₃, შესაფერ ხუთის ძალის-ლოკომობილითა, ნიშნით LB. ფასი სალეწისა დანიშნული იყო 1750 მან. და ლოკომობილისა — 2750 მან. თანხმად კატალოგისა. ამ სალეწმა ათის საათის მუშაობით უნდა გალეწოს 47½ ჩეტვერტი სვილა (ჭვავი) ანუ 95 ოთხ-ფუთიანი კოდი. ორს საათს მუშაობდა თითქმის ეს სალეწი და ანგარიშით საათში 200 ძნამდე გალეწა, მხოლოდ ძალიან სუფთად არა ლეწავდა: თავთავში რჩებოდა კიდევ მარცვალი. ეს იმისი მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ლოკომობილი შესაფერს ძალას ვერ აძლევდა. ჩვენის ფიქრით, ამ სალეწს უფრო ღონიერი ლოკომობილი შეჰფეროდა. რაც შეეხება მასალასა და აწყობას, მასალაც რჩეული ჰქონდა ნახმარები და აწყობილიც საუცხოვოდ იყო, როგორც სალეწი, ისეც ლოკომობილი. ეს-კი უნდა ვსთქვათ, ორის საათის ნაწყვეტ-ნაწყვეტს მუშაობით კაცი კიდევ საკმაოდ კარგად ვერ დააფასებს მათს ღირსებას. ვსთქვათ, ჩინებულიც იყოს ეს სალეწი, ბევრი-კი გამოუჩნდება ჩვენში ამ გვარ ძვირფასს სალეწს მყიდველი? ანუ ბევრს ექნება ამის მუშაობისათვის სამყოფი ჰირნახული? ვგონებთ უფრო ემჯობინებოდა, ეკკერტს რომ ჩვენთვის თავისი მომცრო სალეწები ეჩვენებინა. რამდენადაც ვიცით, იმის მცირე ზომის სალეწები ნაქებია, და ჩვენის მცირე მეურნეობისათვის ისინი უფრო გამოსადეგი იქნება.

კრაუზეს მიერ წარმოდგენილი იყო ლენიკის ხელით სატრიალებელი სალეწი, ფასით 170 მან., რომელმაც დღეში უნდა გალეწოს 10—15 ჩეთვერი, ანუ 20—30 კოდამდე ჰირნახული. ერთი საათი ამუშავებდა ამ მაშინას ორი კაცი, მაგრამ ისე მოიქანცნენ, რომ მეორე საათს, ვგონებთ, ველარ იმუშავებდნენ. ჩვენის აზრით, ხელით ტრიალი ამ სალეწისა შეუძლებელია და ემჯობინებოდა ისევ ორის ცხენის სატრიალებელით ემუშავებინათ. ეს სალეწი მაშინა რომ ემუშავებინათ, იმისი ნამუშევარიც უფრო ბარაქიანი იქნებოდა და უფრო სუფთაც. ფასი ცხენის სატრიალებელისა 255 მან. იყო დანიშნული. შედარებით ეკკერტის „ზარის მინავვარი" მატრიალებელ მაშინისა, ნიშნით JFG, რომელიც ოთხის ცხენისა არის და ღირს სულ 300 მან., ორ-ცხენიანი ლენიკის მატრიალებელი მეტად ძვირად მიგვაჩნია.

აუფერმანის მიერ წარმოდგენილი იყო კიდევ სამი სიმინდის საცეხვი მაშინა: ორი ეკკერტისა: 1) ორიანი, ნიშნით IHG, ცხენით სატრიალებელი, ფასი 85 მან., რომელსაც შეუძლიან დღეში დაცეხვოს 330—380 ფუთამდე სიმინდი, 2) ერთიანი, ნიშნით Wetto ხელით სატრიალებელი, ფასი 45 მან. ამას დღეში შეუძლიან დაცეხვოს 160—190 ფუთი სიმინდი. ერთიც კლეიტონისა და შუტლეორტის საცეხვი, ვენიდამ, სამისა ანუ ოთხის ცხენით სატრია-

*) იხ. „ივერია", № 13.

ნაცნობი და არც ნათესავი. სადგურში იმ დროს მკურნალი არა ყოფილიყო და, როგორც ამბობენ, შეწუხებული სადგურში პატარა ხანსაც არ მოასვენეს. ბოლოს, მამასახლისის განკარგულებით, ავადმყოფი ურმით გაისტუმრეს სოფ. დგვრისს ნათესავთან, ცხინვალიდამ ნახევარ ვერსის მანძილზედ, მაგრამ ავადმყოფმა ველარ შესძლო და გზაზედ განუტევა სული.

*** გაზეთი „Н. Обоз.“ ამბობს, რომ „ტფილისის საზრანიის“ წევრთ მოსვლიათ აზრად გამართონ თავის დარბაზში სამუსიკო და სალიტერატურო საღამო წინამძღვრიანთ-კარის დაზარალებულ სამეურნეო სკოლის სასარგებლოდაო.

*** ამ დღეებში გაზ. „კავკაზმა“ გამოაცხადა, რომ სამი ვაჭარი გაკოტრდა ტფილისში: ერთი ვაჭრობდა თამამშოვის ქარვასლაში და ერთი— დახურულს ბაზარშიო. ზემოხსენებულსავე გაზეთში გუშინ დაბეჭდილი იყო წერილი უკანასკნელის ვაჭრისა, ბაბაჯან ბალდანოვისა, რომ ფიქრადაც არ მომსვლია გაკოტრება და რად გინებებიათ ასეთის ამბის გამოცხადება, რად მიტეხავთ სახელს და მისპობთ ნდობას ვაჭართა შორისაო.

*** იმავე გაზეთში სწერია, რომ სოფელს ნაგომარში, რომელიც გურიაშია, ძლიერს ვედირსენით სამკურნალო სადგურის დაარსებას, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მკურნალს ძალიან იშვიათად ჰნახავს იქ კაცი და სადგური ფერშალის ანაბარად არის დატოვებულიო.

*** იანვრის 18 კავკავის პოლკის კანცე- [illegible] ძემ ციციშვილმა განიზრახა თავის მოკვლა, დამბაჩა დაიცა და ტყვიამ გულში გაურბინა. ციციშვილი სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მეცხრე ნაწილში, ნიკოლოზ I ქუჩაზე, ხუროთ-მოძღვარის სერგეი სტეფანეს ძის ზეზვროვის დაუკეტავის სადგურიდგან გოროხის მაზრის გლეხმა იაკობ გასილის ძემ დანილოვმა მოიპარა 175 მან. ღირებული ქურქი, მაგრამ მეათე ნაწილის პოლიციის მოხელემ გლიშჩენკომ მოასწრო ქურდს, შეიპყრო და ნაქურდალიც წაართვა.

*** ამავე პოლიციის ნაწილში მარიამ ხარებაშვილის სადგურიდგან ტფილისის მცხოვრებელმა მიხეილ გეგეჯკორმა, 65 წლისამ, მოიპარა ათ მანეთად ღირებული სამოვარი, მაგრამ ამასაც მოასწრო პოლიციელმა კონდრატენკომ, შეიპყრო და მოპარული სამოვარიც წაართვა.

## ტფილისის საქალაქო ბიურო.

ქალაქის საბჭოს საქმეთა სიაში 22 იანვრისათვის დანიშნულია პროექტი საქალაქო გამგეობისა, თუ რა პროცენტი უნდა მიეცეთ სასყიდლად ქალაქის აგენტებს შარშანდელის წლის სამსახურისა. ბევრმა არ იცის, რა თანამდებობას ასრულებენ ქალაქის აგენტები. ამიტომ უადგილოდ არ მიგვაჩნია მოკლედ ვაცნობოთ მკითხველს მოვალეობა აგენტისა. ამ რვა წლის წინად ქალაქი მთელს თავის შემოსავალს ჰკრებდა უმთავრესად პოლიციის დახმარებით. პოლიციას ხელმძღვანელობდა ეგრედ წოდებული აღმასრულებელი მოხელე. მთელს ქალაქს ამისთანა მოხელე ჰყავდა სულ ორი კაცი, რომელიც ვერა სწვდებოდა საქმეს და ამის გამო მოქალაქეებზე რჩებოდა ვალი. ვალის დარჩენა საზარალო იყო როგორც გამგეობის კასისათვის, აგრეთვე მოქალაქისათვის, იმიტომ-რომ გადახდის უფულობის გამო შეუწროებული იყო და მოქალაქეს კიდევ ჯარიმა ერთ მეორად იმდენად მეტი, რაც მეტს ხანს დარჩებოდა იმაზე ვალი. თუ ამას დაურთავთ იმ უსიამოვნებასა და ზარალს, რომელიც აუცილებელია [illegible], ოსაც-კი ფული უნდა გამოართვას პოლიციამ და, თუ ფული არ არის, ნივთები უნდა აუწეროს და გაუყიდოს, ადვილად მისვდებით, რა დიდს საჭიროებას შეადგენდა ქალაქის თვით-მმართველობისათვის, რომ შემოეღო ისეთი წესი, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იქმნებოდა, რომ არც ქალაქის კასა ყოფილიყო ცარიელი, არც ძლიერ გაზვიადებულიყო ვალი მოქალაქეებისა და თან თვით ვალის გადახდაში შედავათი ჰქონოდა მოქალაქეს. ეს წესი შემოიღო ჩვენმა საბჭომ ეგრედ წოდებულ საქალაქო ბიუროს დაარსებით. საქალაქო ბიუროს შეადგენს რვა აგენტი და ერთიც იმათი უფროსი. მთელი ქალაქი განაწილებულია მათ შორის. ყოველ აგენტს ასარის სია თავის ნაწილის მოხარკეებისა და მუდამ დღე ეძლევა გამგეობიდამ ცნობა, თუ რომელმა მოქალაქემ გადიხადა ხარჯი და რომელზე დარჩა. აგენტების უმთავრესი მოვალეობა ის არის, რომ სიტყვით, რჩევით ჩააგონოს მოქალაქეს, რომ რაც მალე შეიტანს ხარჯს, მით ნაკლებს ჯარიმას გადაიხდის. აგენტების პრაქტიკიდამ ცნობილია რომ ამისთანა ჩაგონება მომეტებულს მოხარკეებზე ძალიან ნაყოფიერად მოქმედობს. უმეტესობას სწორედ ვადაზე შეაქვს ხარჯი—ნახევარი იანვარში და ნახევარიც ივლისში—და ამიტომ ერთს გროშსაც არ იხდის ჯარიმას. ვისაც იმდენი შეძლება არა აქვს, რომ დროზე შეიტანოს ხარჯი და აცილოს თავიდამ ჯარიმა, იმათთვის ყოველ აგენტს აქვს ცალკე კვიტანციის წიგნი და წვრილ-წვრილად ართმევს გადასახადს. თუმცა ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც არიან ისეთი მოხარკენი, რომელნიც არ დაგიდევენ არც ჯარიმასა და არც ფული შეაქვთ. მხოლოდ ამისთანა შემთხვევაში, რაკი სხვა არავითარი საშუალება არა მოქმედობს, აგენტი მოვალეა შეჰკრას ქირები ამისთანა მოხარკის მამულისა და იქიდამ აითვალოს შესატანი ხარჯი. რასაკვირველია, რაც ადრე შეამთავრებს გადასახადს, [illegible] თმევა ამისთანა მოქალაქეს. ამ რამდენისამე წლის წინად ძლიერ დიდი იყო დარჩენილი ხარჯი მოქალაქეებისა და ჯარიმაც ამიტომ ბევრი ერთმეოდათ. იყო ასეთი მაგალითებიც: ზოგის ვალი ისე გაიზარდა ჯარიმებით, რომ თუნდა ათი თუმანიც წარედგინა კასაში, ოთხს თუმანს ხარჯად ჩაუთვლიდნენ და ექვსი თუმანი ჯარიმაზე მიდიოდა. ეხლა-კი ამისთანა დარჩენილი ვალი ისეთს მოქალაქეებზე თუ-და არის, რომელთაც ცარიელ მამულების მეტი არა გააჩნიათ-რა, თორემ ვისაც-კი ცოტაოდენი შეძლება აქვს, იმათი ჯარიმა ძალიან მცირდება ბიუროს მზრუნველობის გამო.

როგორც მკითხველი ჰხედავს, აგენტების მოვალეობა ხელ-საყრელია გამგეობისთვის და საშველათ-აც მოქალაქეთათვის. მთელი შემოსავალი ქალაქისა აგენტების ხელშია, მხოლოდ მიღის წყალის შემოსავალი ჩამოართვა გამგეობამ და გადასცა განსაკუთრებულს დაწესებულებას, რადგან საქმე ძალიან რთული შეიქმნა ბოლოს დროს. ასეთი მოვალეობა აწევს ქალაქის აგენტს და ასეთი ვრცელი ნდობა აქვს გამგეობისა, მაგრამ რადგან ქალაქის კასა ჯერ ისევ ღარიბია, ამიტომ შედარებით ნაკლებს ჯამაგირებს აძლევს თავის აგენტებს—თითოეული მათგანი იღებს წელიწადში ოთხმოც თუმანს. ქალაქის თვით-მმართველობა კარგად ჰხედავს სიმცირეს ამ ჯამაგირისას და ამიტომ გასამხნევებლად აგენტებისა წესად შემოიღო მათი დასაჩუქრება მიხედვით შემოსავლისა, დასაჩუქრება ამ წესით არის ხოლმე: საბჭო დაამტკიცებს წლიურს ხარჯთ-აღრიცხვას შემოსავლისას. უკეთუ აგენტების მეცადინეობით ფული მეტი შემოვა, ვიდრე ხარჯთ-აღრიცხვაშია დანიშნული, მაშინ ამ მომატებულიდამ აგენტების ბიუროზე გადასცემენ რამდენსამე პროცენტს. სულ პირველად თქმა იყო, რომ ოცი პროცენტი მიეცა საბჭოს აგენტებისთვის. მაგრამ სხვა-და-სხვა მოსაზრებით ათის პროცენტზე მეტი არასოდეს მიუცემიათ. შარშან-წინ [illegible] უდგათ აგენტებს, ვერ გადაამეტეს ხარჯთ-აღრიცხვას და ამიტომ საჩუქარიც არა მიეცათ-რა. რაკი შარშან-წინ ხელ-ცარიელნი დარჩნენ, ამის გამო წელს გამგეობამ შეადგინა პროექტი, რომ თხუთმეტი პროცენტი მივცეთ ბიუროსაო. რასაკვირველია, უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ოცი პროცენტი დაენიშნათ, მაშინ შარშან-წინდელი ზარალიც ცოტაოდნად ადგებოდა, მაგრამ ეს იქნება ასეც გადასწყვიტოს საბჭომ და ამიტომ ამაზედ ლაპარაკი მეტია. ჩვენ მხოლოდ ვაუწყებთ მკითხველს, როგორ უნდა წარადგინონ აგენტებმა იმაზე მეტი ფული, რაც ხარჯთ-აღრიცხვაშია დანიშნული. ვსთქვათ, ხარჯთ-აღრიცხვა წრევანდელის წლისა ამბობს, რომ უძრავ ქონებათა დაფასების ხარჯი უნდა შემოვიდეს 300,000 მანათიო. ვსთქვათ, ამდენივე ფული დარჩენილა წინანდელის წლებისა. შესაძლოა აგენტებმა ისე წაიყვანონ საქმე, რომ წრევანდელის წლიდამ შეიტანონ 200,000 მ. და დარჩენილიდამ 130,000 მ. ამ სახით, წრევანდელს ხარჯთ-აღრიცხვას გადაამეტებენ აგენტები 30,000 მანათს. აი, ამ გადამეტებულის ფულიდამ იანგარიშებენ პროცენტს.

ასეთივე ანგარიშია დანარჩენ სახარჯო საქმეებშიაც და ამათი გადაამეტებენ ხოლმე ხარჯთ-აღრიცხვას. ეს ცნობანი ამოვკრიბეთ გამგეობის სარჩიელიდგან.

ა. მ—ლი

## ალწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა.

(დასასრული*)

ლარბი—ნიახური.

ლალია—გუნდრუკსავით სასუნებელი.

ლაფითი—ფშატის ხე.

—

ყუსტი—ლეფშურა.

ყანდარონი—ძირია თურბუთს გავს.

ყონდუზის ქერქი—თახვსა ქვია.

ყუსტიბარი—იეგინზაალი.

ყანბილი—ონტკოფა.

*) იხ. „ივერია“ № 14.

---

ლებელი. ფასი 150 მან. ამ საცეხვს შეუძლიან დღეში დაცეხვოს 700—800 ფუთი სიმინდი. მუშაობაში სამში, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი ყველაზე უკეთესი იყო, ხოლო იგი გამოსადეგია იმისთვის, ვისაც ბევრი სიმინდი მოჰყავს. საშუალო და მცირე მეურნესათვის-კი, ჩვენის ფიქრით, ისევ ეკკერტის საცეხვი, ხელით სატრიალებელი, ნიშნით Wetto, ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნება. ცეხვით ესეც სუფთადა სცეხვს.

გარდა ამისა აუფერმანის მიერ წარმოდგენილი იყო ბამბის საპენტი „კოტონჯინი“, კონდენსატორით, ამერიკულის ქარხნისა «პრეტ», ფასი 225 მან. დღეში შეუძლიან გაპენტოს 15 ფუთი ბამბა, მხოლოდ საჭიროა, რომ მუშაობის დროს ბამბა ცოტ-ცოტა ეძლიოს საპენტად, თორემ მაშინა იჩურთება და დგება.

ჰირნახულის გასანიავებელი და დასარკევი მაშინები კარგა ბლომად იყო წარმოდგენილი, რომელთ შორის ადგილობრივ გაკეთებულებში ერთის მეტმა არც ერთმა არ ივარგა; მაგალ., არტურ გერსტენლაურის გაკეთებულმა სანიავებელმა ალექსანდერდორფიდამ, სუმბათ ვარიკიანისამან ველარშაპატიდგან და ელიზავეტოპოლის პროფესიონალურის სკოლის გასანიავებელმა. იმდენად ცუდი მასალისაგან იყო ეს მაშინები გაკეთებული და იმდენად ცუდადაც ასხმული, რომ ამათი მუშაობა შეუძლებელი იყო. ასე გასინჯეთ, ელიზავეტოპოლის სანიავებელს ზეთ-საცხები კლაპანებიც-კი არა ჰქონდა. ის ერთიც, რომელმაც მუშაობაში ივარგა და რომელიც ჩვენც ძალიან მოგვეწონა იყო სანიავებელი გოლფილდევისა (Кубанской области, „Темрюкскаго округа), ფასი 55 მან. ამ სანიავებელს ჰქონდა შვიდი ცხავი დახვრეტილი თეთრის თუნუქისა, რაიცა ძალიან ხელს უწყობდა დაუბრკოლებლივ მუშაობას და სუფთად ბზისა და ხორბლის გარჩევას. ამ სანიავებელით შეიძლება პირდაპირ კალოზე გალეწილი ბზიანი ჰირნახული განიავდეს. ეს გასანიავებელი დევგისა დაჯილდოებულ იქმნა ვერცხლის მედლით.

ესსენისა და მარხოვსკის კოლონისტებური სანიავებელი (ნიკოლაევიდგან) კარგად ანიავებდა და არკევდა ბზიან ხორბალს, მაგრამ ამისი ნაკლულევანება ის იყო, რომ ცხავები ნახვრეტს თუნუქისა არა აქვს, არამედ დაწნულის მავთულისა, რომელშიაც ბზე ედება და ხშირად გასუფთავებას ითხოვს. ფასი 55 მან. შეუძლიან საათში გაანიავოს 10—12 კოდამდე.

ამ ორივეზე უკეთესად მუშაობდა გრაგამის კოლონისტებური სანიავებელი № 10, ფასი 60 მან. (Грагомъ Карлъ Вальтеровичъ, фабрикантъ земледѣльческихъ машинъ, въ Ростовѣ на Дону). ამ სანიავებელსა აქვს 8 ცალი საცვალი ცხავი დახვრეტილის თეთრის თუნუქისა და მთელი მაშინაც კარგის მასალისაგან იყო აშენებული, ძალიან კარგადაც ანიავებდა ბზიანს ხორბალს და ბზეში ხორბალს სრულიად არ ატანდა, ერთს კაცს შეეძლო თავისუფლად იმის ტრიალი. ჩვენს კალოზე სანიავებლად ეს სამივე სანიავებელი მაშინა გამოსადეგია, მხოლოდ, როგორც ვსთქვით, დევგისა სჯობია ესსენისას და ამ ორივეს—გრაგამისა. გრაგამის სანიავებელი მართლა რომ მოსაწონად მუშაობდა. გრაგამისას ამოირჩევს მყიდველი, თუ დეველის სანიავებელს, ვარწმუნებთ, არც ერთში არ შესცდება.

ამათ გარდა კარგი სანიავებელი მაშინები იყო წარმოდგენილი უკვე გალეწილის ჰირნახულის გასაკეთებლად, ე. ი. არა-ბზიანის ჰირნახულის გასაცხრილავად და დასარკევად (вѣялки - сортировки). ამ სანიავებელ მაშინებით (სჯობს-კი ამათ სარკევი, ანუ გასაცხრილავი ეწოდოთ) ყოველ გვარი ჰირნახული საწისქვილოდ კეთდება. გამოცდის დროს თავი იჩინა ლენიკის სარკევმა 12 ცხრილიანმა, ნიშნით NO, რომელსაც შეუძლიან საათში გააკეთოს 24 კოდი ხორბალი, ფასი 102 მან. (წარმომადგენელი კრაუზე, ველიამინოვის ქუჩა, № 12.) ამასთან ბევრი განსხვავება არა ჰქონდა ლენიკისავე მეორე სარკევს ნიშნით NOA, რომელიც ღირს 125 მანეთი.

აუფერმანის მიერ წარმოდგენილი იყო განთქული სანიავებელი და სარკევი მაშინები ბეკკერისა (ესსიჩ, ინგლისი): № 2, თერთმეტის ცხრილით, ფასი 80 მან. კიდევ № 2, მოძრავის ძირის ცხრილით, ფასი 90 მან. და № 5, ცამეტის ცხრილით; და განმფანტავის აპარატით. ეს უკანასკნელი, რადგანაც შეცვლილი ცხავები ჰქონდა, ვერ მუშაობდა კარგად. პირველი ორივ-კი კარგად მუშაობდა, მხოლოდ არც ამათ შეუძლიანთ მსხვილის, ბზიანის ჰირნახულის გაკეთება. ამათი დანიშნულება, როგორც ზემოდაც ვსთქვით, უკვე გამონიჩბულის ხორბლის დარკევაა და ამ დანიშნულებას კარგად ასრულებენ.

რენკვისტის ქარხნის სანიავებელიც ურიგოდ არ აკეთებდა პურს, მხოლოდ ვერც ამას შეუძლიან ბზიანის დანიავება, ფასი 60 მან. თითონ არ არის დიდი და ვერც იმდენის მუშაობა შეუძლიან. მასალა კარგი ჰქონდა ნახმარები, ასხმულიც კარგად იყო.

ფირალოვის მიერ (ერევნის მეიდანი, ზუბალოვის სახლი) წარმოდგენილი იყო ჩვენთვის ჯერ სრულიად უცნობი სარჩევი მაშინა მაროსი (Marot Afils) Niort (Seures France) საფრანგეთიდამ, რომელიც ძალიან მოგვეწონა. ამაზე უკეთესად ხელითაც ვერ გაარჩევს კაცი ჰირნახულს. მეტად ჩინებული იარაღია სათესლე პურის გასაკეთებლად. ვინც ამ მაშინის შეძენას შეიძლებს, იმისათვის ესრედ წოდებული „დაკოდვა პურისა“ სრულიად საჭირო აღარ არის. არჩევს მარცვლის სიდიდის მიხედვით შვიდ ნაირად: მსხვილსა და უფრო წვრილს სვილას (ჭვავს), ცალკე, მსხვილ მარცვალს: ქერისას და სხვას—ცალკე, თავანკარ პურს, საშუალო პურს, ნაკმაზს და ბალახების წვრილ თესლს ცალ-ცალკე. რადგან სარჩევი ცილინდრი თხელ თეთრის თუნუქისა აქვს და ადვილად შეიძლება იმისი დაქექა, ამიტომ ურჩევთ, ვინც ამ იარაღს შეიძენს, უთუოდ ხის ხუფი გაუკეთებინოს. იმდენად მოეწონათ მუშაობის დროს ეს სარჩევი იქ დამსწრეთ, რომ ერთი ცალი იქვე თავ. ლუკა ბეგთაბეგიშვილმა (ვაყული მემამულეა გორს ზემოდამ) იყიდა თავის წისქვილისათვის. ამ მაშინებისა ორი ნომერი იყო წარმოდგენილი. ერთი მოზრდილი ფასი 135, მეორე მომცრო—ფასი 105 მან. პირველ ნომერს შეუძლიან დღეში 60 ფუთი ჰირნახული დაარჩიოს.

გორველასი და სხვა ბალახის თესლების ჰირნახულისაგან გამოსარჩევი მაშინები ესრედ წოდებული „ტრიერები“ წარმოდგენილი იყო:

1) აუფერმანის მიერ: მაიერისა და კამპ. კალკიდან, რეინზე: ტრიერი № 1, უვენტილიაციოთ, განსაკუთრებით ხელისათვის, ფასი 160 მანეთი. შეუძლიან გასწმინდოს დღეში 160 ფუთი. ტრიერი № 2, პურისთვის, ფასი 160 მან. შეუძლიან დღეში გასწმინდოს 225 ფუთი პური.

ყატრანი—რომელსა ქვია წერი.
ყურდეენი—ტყიურა.

—

შაფი-აბარი—გაკეთებული შაფი.
შამბალიდი—მოკუთეილი კიტრი.
შკოლა—ჭიკარტა.
შამიანტალი—გარეული საზამთრო.
შაფი—ასლები მაშითა.
შასთარა—შაეთარა არის.
შაბიარი—გენარკეჲა კიტრის თესლი.
შაებალინდი—ინდოეთით მოვა.
შასფარანი—პიტნის თესლი.
შეტარა—შაეთარა შაბითი, ცერეცო.

—

ჩიფგილა—სურინჯი.
ჩალნდრი—ჰაკუნტელი.

—

წნორი—ტირიფი.
ჭნარდენის ზეთი—აქილ მელიქს ქვია

—

ხავარტი—სალათა.
ხასდის გული—ინდოური ნიგოზი.
ხირი—ზეთის-ხილი.
ხარატინი—ყერტმანა ტყიურა.
ხარბაყი—ხარის ძირა.
ხორფარასტი—საფარნია.
ხონირამშნი—რომშნა.
ხულფა—დანდურის თესლი მსუქანა.
ხუსრაკი—რაზიანა.
ხორფა სარათი—ხაბზი, სალათის ფურცელი.
ხათმი—ტუხთსა ქვიან.
ხარდალი—მდოგვი.

—

ჯავზალყა—ნაქვის კაკალი.
ჯავშირი—ქალბანას გვეს, ქაბულიდამ მოვა.
ჯულაბი—თაფლის წყალი.
ჯაროტი—ქალბანა არის.

—

ჰაშა—პურის ფიტი.
ჰასო—ანაკვეთისა და შაქრისაგან შემდგარი.

ამ ლექსიკონის ბოლოში ხუცური ასო მთავრულით ხელ-ჩართულათ სწერია: „არხიმანდრიტი გერმანე."

ეს ლექსიკონი ამ გერმანეს შედგენილი უნდა იყოს.

ე. თ—ლი

◆◆

# რუსეთი

ხარკოვის სამოსამართლო პალატამ ამას წინად ერთი საქმე გაარჩია, რომელმაც რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა ასტეხა. ჟურნალ-გაზეთების ატეხვის მიზეზი ის იყო, რომ ამ საქმეს ყველანი გულ-დანდობილად მოექცნენ, თავით ბოლომდე შეცდომაზედ აშენდა გამოძიებაც, ბრალდებაცა და განაჩენიც, თუმცა სასამართლომ სამი წელიწადი მოახმარა ამ საქმეს და სასტიკი და უსამართლო სასჯელიც დასდო ბრალდებულს.

ეს საქმე იმდენად საყურადღებოა, იმდენი ალაპარაკა გაზეთები, რომ დაწვრილებით უნდა მოვუთხრათ ჩვენს მკითხველებს, მით უმეტეს, რომ ასეთი შეცდომა ერთხელ და ორჯელ არ დამართებიათ ჩვენს სასამართლოებს. აი მოკლედ გარემოება საქმისა ისე, როგორც გაზ. «Недѣля» გადმოგვცემს თავისს პირველს ნომერში:

1886 წლის 22 ავგისტოს ქ. ბელოპოლიას საფოსტო კანტორამ მიიღო ფულის ამანათი, რომელშიაც ათასი თუმანი ფული იყო, ლაპლარის სახელობაზედ გამოგზავნილი. მეორე დღეს ლაპლარი მივიდა ფოსტაში ფულის მისაღებად, მაგრამ აღარც ამანათი აღმოჩნდა ფოსტის რკინის სკივრში და აღარც ფული, თუმცა-კი კლიტე და ბეჭედი ხელ-შეუხებელი იყო. მხოლოდ ორს კაცს შეეძლო ფულის წაღება: ფოსტის უფროსს პონომარიოვს, რომელსაც მიღებისათანავე სკივრში ჩაეკეტნა, და ფოსტალიონს სკრიპკოს, რომელსაც ღამე ედარაჯნა. რაღა თქმა უნდა, მაშინვე ორივ გასინჯეს, ვერაფერი უპოვნეს ვერც ერთსა და ვერც მეორეს, სკრიპკო განათავისუფლეს და პონომარიოვსკი ხელები მაგრად ჩასჭიდეს.

ბელოპოლის გამომძიებელი შეუდგა საქმეს, დაიწყო ჩვენების ჩამორთმევა, უწყებათა წერა, ჩხრეკა-კლევა, კანონთა მუხლების გადათვალიერება. ეს გამომძიებელი პსიხოლოგი აღმოჩნდა და აღრევე შეიდგინა დაბეჯითებული აზრი, რომ პონომარიოვი დამნაშავეა და მაგას აუწაპნია ის ფულებიო. ასეთი აზრი უფრო ერთმა გარემოებამ შეადგენინა: როცა ფულის გადაჩქლამვა აღმოჩნდა და პონამარიოვსაც შეატყობინეს, ამ კაცს უეცრად ფერი წაუვიდა და იქვე ჩაიკეცა. გესმით? არც ხელები გაასავსავა, არც დაიკვნესა, არც თავზედ წაივლო ხელები, არა, მხოლოდ ფერი წაუვიდა და იქვე ჩაიკეცა. განა დასაჯერებელია ეს ამბავი? უბედურება დაატყდა ადამიანს თავზედ, ფული დაიკარგა იმ კანტორაში, სადაც ყველაფრის პასუხის მგებელი ის არის, და იმას-კი მხოლოდ ფერი წაუვიდა და ჩამოჯდა.

გამომძიებელმა ეს გარემოება დაიხვია ხელზედ და გადაიწყვიტა: თუ ფერი წაუვიდა—მაშ დამნაშავე ყოფილა; თუ დაჯდა კიდეც, მაშინ ხომ ამას ეჭვი აღარა აქვსო. პონომარიოვი გაგზავნეს საპატიმროში. ბრალდებული სწორედ იმ ვიწრო და პაწია ქუჩებზედ მიჰყავდათ, რომელზედაც გუშინწინ ყველანი პატივის ცემითა და ალერსიანად თავს უკრავდნენ და ეხლა-კი ყველა გვერდს უხვევდა, გზას უქცევდა და ჰკიდეით ერიდებოდა.

დაუწყო ბრალდებულს გამომძიებელმა სულისა და გულის ჩხრეკა: როდის აიღე ფული, რად აიღე, სად დამალეო. გაუსინჯა ტანისამოსი, ცოლის კაბები, ყმაწვილების თეთრეული და უფრო უმეტესად დარწმუნდა, რომ, თუ ბრალია ამ საქმეში ვინმე, ისევ პონომარიოვი უნდა იყოსო.

რამ დაარწმუნა უფრო უმეტესად? როგორ თუ რამ? წარმოიდგინეთ, ბრალდებულს ვიც-მუნდირი ახალთახალი ჰქონდა, ერთი ფოლაქიც არ აკლდა; პონომარიოვი ყელ-სახვევს ატარებდა (ამაზედ მეტი კოხტაობა და გაგონილა!); ერთხელ ქალაქში სამი აბაზი და ოთხი გროში წაეგო და მაშინვე გადაეხადა (გესმენიათ!); დილითა და საღამოთიც ჩაის შეექცეოდა (თქმულა სადმე!); თამბაქოს ეწეოდა (აი სად წასულა ათასი თუმანი!). ამდენი საბუთი და გეშა ეპირა ხელში გამომძიებელს და როგორ არ უნდა დარწმუნებულიყო, თუნდა ანგარიშშიაც არ ჩავაგდოთ სულ უმთავრესი გეში—ხომ გახსოვთ?—ფერი წაუვიდა და ჩაიკეცაო.

სამი წელიწადი დაპატიმრებული იყო პონომარიოვი, სამი წელიწადი სულ ერთსა და იმასვე უპასუხებდა ბელოპოლის გამომძიებელს: ფული არ ამიღია და არც ვიცი, ვის წაუღიაო. ხანდახან ღმერთს იწვევდა მოწმად, რომ უდანაშაულო ვარო, მაგრამ ხერხიანი გამომძიებელი მარტო იმას-ღა უპასუხებდა, რომ ეგ საქმეს არ შეეხებაო. ბრალდებული მაინც იმედს არა ჰკარგავდა. არ შეიძლებაო, ჰფიქრობდა უბედური საპატიმრო სენაკში დამწყვდეული, მაშინ როცა იმისი ცოლი-კი თავისუფლად იყო და ქმარზედ არა ნაკლებ იტანჯებოდა: არ შეიძლებაო, რომ უდანაშაულო დამსაჯონ! ნუ თუ ღმერთმა სულ ხელი აიღო ჩემზედაო?

ამასობაში გამომძიებელი აგებდა და აშენებდა საქმეს გეშს აგურად ჰხმარობდა და საბუთს კირად, ამ სისხლის სამართლის შენობას საძირკვლად თვით გამომძიებლის რწმუნება გაუხდა და კანონთა მუხლი კიდევ გაჯად იხმარა სასამართლოს მოხელემ, რომ გარეგნად გაემშვენიერებინა ეს შენობა. ამ გვარად მთელი შენობა მკვიდრად აგო და ბრალმდებელს წარუდგინა. ბრალმდებელმა ოდნავ ხელი შეახო ამ შენობას, ნახა, რომ არა უჭირს-რა, მაგრადა სდგასო, თავისის ბეჭედით უფრო გაამაგრა და გაჰგზავნა, სადაც ჯერ იყო.

აგერ წარსდგა სასამართლოს წინაშე საქმე პონომარიოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ათას-თუმნიანის ამანათის მოპარვა. როცა გამომძიებელმა თავისი საქმე დაამთავრა, ახლა ბრალმდებელი წამოდგა. როგორც ბრალმდებელმა გამომძიებელს დაუჯერა, ისე პალატა დაერწმუნა ბრალმდებელს (მარტო პონომარიოვს არავინ ერწმუნა!). 1889 წ. 18 დეკემბერს ხარკოვის სამოსამართლო პალატა შეუდგა საქმის გარჩევას და ბრალდებულს მსჯავრი დასდო. ორს საათს თათბირობდნენ მოსამართლენი, ამდენივე ხანი ათვალიერებდნენ ბრალდებულს და ერთსაც არ მოუვიდა ფიქრად, რომ ისეთს კაცს ვასამართლებთ, რომელსაც გასასამართლებელი არაფერი უქმნიაო.

პონომარიოვი მხოლოდ ღმერთს იწვევდა მოწმად, რომ არაფერი ბრალი მამიძღვისო, მაგრამ მოსამართლეებმა არ დაუჯერეს და გადასწყვიტეს, რომ ყოველივე უფლება ჩამოერთვას ბრალდებულს, დაკარგული ათასი თუმანი გადაეხდევინოს და ამას გარდა ციმბირში გაიგზავნოს სამუდამოდაო.

კვლავ საპატიმროშივე გაგზავნილი პონომარიოვი დიდს სასოწარკვეთილებაში იყო, კედლებს თავს ახლიდა და განწირულის ხმით გაჰკიოდა: უბრალო ვარ, უბრალო, უბრალოო, ასე რომ საპატიმროს ზედამხედველებს შეეშინდათ თურმე, რომ ამ კაცმა ძალად თავი იმაზედ შორს არ გაიგზავნოს, სადაც გაგზავნა აქვს გადაწყვეტილიო, და თვალ-ყურის დევნა დაუწყეს. მართლაც-და, ერთს

---

ტრიერი № 6, სამ-ცილინდრიანი, პურისათვის, ფასი 550 მან., შეუძლიან დღეში გაწმინდოს 1000 ფუთი პური.

2) კრაუზეს მიერ წარმოდგენილი იყო ხორბლის გასაკეთებელი ტრიერები შნეიდესისა და ვერნერისა, დრეზდენიდგან: ტრიერი № 1 ფასი 120 მან. ამას შეუძლიან გასწმინდოს დღეში 175 ფუთი პური. № 2 ფასი 180 მან., შეუძლიან დღეში გასწმინდოს 250 ფუთი პური. ამ ტრიერებზე საერთოდ სიკეთის მეტს ვერას ვიტყვით. თავიანთ დანიშნულებას ასრულებენ ჩინებულად. პურს არჩევენ სხვა-და-სხვა ბალახის თესლისაგან და არკვევენ საწისქვილედ სრულიად სუფთად, მეტადრე თუ ხორბალს ორჯელ გაატარებთ. ეს ტრიერები ჩვენში უკვე კარგად ცნობილია და ცუდის მოსავლის დროს, როგორც წრეულს იყო, სოფლებში ბევრს დააქვთ გასაქირავებლად.

## V

მარცვლის საღერღი, საჩეჩი და ბზის საჭრელი მაშინები და წისქვილები.

აუფერმანის მიერ წარმოდგენილი იყო ხორბლის საღერღი გრუზონ-ბუკაუსი, მაგდებურგიდამ, სახელად „ეკსელსიორ" ნიშნით IId, ფასი 155 მან. სიმძიმე მთელის საღერღისა 5 ფუთი 4 გირ. ამუშავებდა ეკკერტის მატრიალებელი სამის ცხენით. ამ საღერღს აქვს საცვალი თეფშები. კარგადა მუშაობდა, მხოლოდ არ ვიცით დღეში რამდენის დაღერღა შეუძლიან, ერთის შეხედვით-კი თითქოს ბარაქიანი მუშაობა არა ჰქონდა. ამ საღერღს უფრო ლუდისა და სპირტის ქარხნებში ხმარობენ.

რენკვისტის ქერის სამტვრევი, ანუ საჩეჩქი მაშინა—ფასი 80 მან.—ძალიან კარგად მუშაობდა. საჩეჩქი ვალცები კარგის მასალისაგან იყო ჩამოსხმული. ამ გვარ მაშინებს ხმარობენ, სადაც ცხენებს უფრო დიდი ჯაფა აქვთ, რათა საკვები ე. ი. ქერი ცხენებს კარგად მოანელებინონ. ნაცადია, რომ ნაცვლად დაუჩეჩქელ, მაგ., 100 ვირვანქა ქერისა, საკმარისია 50%-75% ამ მაშინით დაჩეჩქილი ქერი. აქედგან სჩანს, რამდენად გამოსადეგია ცხენოსანთა ჯარისათვის, ფოსტებისათვის და იმ მეურნეობაშიაც, სადაც ცხენებს ამუშავებენ.

ამ გვარივე საჩეჩქი გრაგამისა, ფასი 120 მან., ვერ იყო კარგი, რადგან ვალცები სუფთად ვერ იყო ჩამოსხმული და აქა-იქ დარჩენილ ნახვრეტების ამოსავსებლად ტყვია ჰქონდა ჩასხმული.

მრავალი სოფელია ჩვენს ქვეყანაში, სადაც უწყლობის გამო წისქვილი ენატრებათ და ხშირად ორმოცდა-ათის და მეტს ვერსზე მიაქვთ საფქვავი. აქედამ სჩანს, რამდენად კარგი და იაფი წისქვილები, ცხენითა თუ სხვა ძალით სატრიალებელი, ჩვენში ხელით დასატაცებელი შეიქმნებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ერთის წისქვილის მეტი არ იყო წარმოდგენილი ამ გამოფენაზე, ანრი ლოლუსი, ვეჩკეს მიერ, ისიც ხელისა, რომელსაც ვითომ შეუძლიან საათში დაფქვას 80 კილო, ანუ 5 ფუთი. გამოცდის დროს ამ წისქვილს შეეტყო, რომ ხელით მეტად ძნელია მისი დაბრუნება, თითქმის შეუძლებელია და მეორეც ისა, რომ ვერც იმის მეოთხედს დაჰფქავს, რაც კატალოგში მოხსენებული იყო.

ბზის დასაკეპ მაშინებს, რომელიც წარმოდგენილი იყო კრაუზეს მიერ ლენიკისა და გრაგამისა, ვგონებთ ჯერ ხელად ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რადგან უკეთესს ბზეს ჩვენ კალოებზე ვაკეთებთ, ამიტომ იმათ განხილვას სრულად ვსტოვებთ.

## VI

ტვირთის საზიდ იარაღებში, თუმცა წარმოდგენილი იყო, გარდა ჩვეულებრივ ქართულის ურმებისა, ძალიან კარგად გაკეთებული ფურგონები სხვა-და-სხვა კოლონიიდამ, მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო მიიზიდა კოტრინის მიერ განკარგებულმა ქართულმა ურემმა, რადგან წარმოდგენილი ფურგუნები მეურნეობაში ხმარებულ ტიპისანი არ იყვნენ და, ჩვენის აზრით, საერთოდ ფურგონები ჩვენს მეურნეობაში ვერც დაიჭერენ ურმის ალაგს. კოტრინის მიერ გადაკეთებულ ურემს, თუმცა ბევრი ცვლილება აქვს მიცემული, მაგრამ მაინც ისევ ქართული ურემია. ყოველივე ნაწილი ურმისა, ხელთევებს გარდა, შეუშლელად დატოვებულია, მხოლოდ უფრო გაუმჯობესებული. მაგალითად აქვს რკინის ღერძი, ჩინებული თვლები, რკინით შემოჭედილი, და ზოგი ნაწილიც დამატებული აქვს. მაგალითად, ალაყი (ტორმაზი), როგორც ევროპიულ ფურგონს წინა კოფოდამ მოსაჭერი, უკანა კოფოზედაც დამატებული აქვს ფურგუნისებურად ჯაჭვებზედ გაკეთებული საფარი. ყველგან, სადაც ქართულს ურემს წნელი აქვს შებმული, იქ ამ გაუცხოვებულს ურემს ნაწილები რკინის რგოლებით აქვს დამაგრებული. მთელი ურემი გაფიცრულია და წითლად შეღებილი, თუმცა ეს ურემი შებმული არ გვინახავს, მაგრამ ჩვენა გვგონია, რომ ეს ურემი შეიძლება გავრცელდეს, მხოლოდ მაშინ, თუ ზოგიერთი ცვლილება მიეცემა, ისეთი ცვლილება, რომლითაც მისი გაიაფებაც შესაძლო შეიქმნება და მეტი სიმკვიდრეც მოსახერხებელი. დანიშნული ფასი 120 მან. მეტად ძვირი გვგონია და დამაბრკოლებელიც ამ ურმის ხმარებაში გავრცელებისათვის. მეცვლა ზოგიერთის ნაწილისა უთუოდ საჭიროდ მიგვაჩნია, მაგ., სრულიად გალართხვა ურმისა საჭირო არ არის, არც იმ გვარი ალაყი უნდა, როგორიც გაკეთებული აქვს. ჩვენის აზრით, ალაყი უფრო ისეთი ხერხიანი იქნება, რომელსაც უწინ ეკაპაქებს უკეთებდნენ (ჯაჭვის ალაყი) ასეთი ალაყი იაფადაც დაჯდება და გამძლეც იქნება. გარდა ამისა ურმის ხელნების წინა თავები, თათები, სადაც უღელს უკეთებენ, უძრავად დამაგრებული აქვს ერთი-ერთმანეთზედ, იმ დროს, როდესაც ქართულ ურემს ეს თათები გადადებული აქვს ერთმანეთზედ და მხოლოდ ტაბიკით დამაგრებული, რის გამოც ურმის ყველა ჩაკვრის დროს თავისუფლად თამაშობენ და საქონელს ამ სახით ზიანს არ აძლევენ. ხელნების უძრავად დაკავშირება, ვგონებთ, ძალიან გაუჭირებს საქონელს ტვირთის წევას და თითონ ხელნებიც შეიძლება ძალიან ადვილად დაემტვრეს. მაინც და მაინც ამ ურმის გამოცდა საქმეში ძალიან სასარგებლო იქნებოდა. ეს-კია, რომ თუ დანიშნული ფასი 60—70 მანათამდე არ დასწიეს, რაც უნდა საქმეში კარგი გამოდგეს, ძნელად მოსაფიქრებელია, რომ გავრცელდეს ჩვენს მეურნეობაში. ვიმეორებთ, 120 მან. ერთის ურმისათვის მეტად დიდი ფასია.

ამითი ვათავებთ ჩვენს წერილს და თუ რამე დაგვავიწყდა, ანუ რომელსამე საგანს ჯეროვანი ყურადღება ვერ მივაქციეთ, ვთხოვთ გვაპატიონ, რადგან საგანი ამ წერილისა მეტად ვრცელი იყო და ჩვენი შიში, რომ მკითხველს თავი არ მოვაწყინოთ, მეტად დიდი...

თ. სვ. ვეზირიშვილი

წუთს მაინც წარმოიდგინოთ ამ უბედურის მდგომარეობა... ადგილი ჰქონდა—წაართვეს, ოჯახი ჰქონდა—განაშორეს, ლუკმა პური მოეძევებოდა—ხელიდგან გამოაცალეს, პატიოსანს სახელს ატარებდა და—ლაქა დასდეს, გააბრიაბრუეს... მართლმსაჯულების იმედი ჰქონდა, ოცნება ძალას ურკეცებდა... ეს იმედიც დაეკარგა. უსამართლო და შეუბრალებელი იყო ხარკოვის სასამართლოს მსჯავრი, მაგრამ განგება ჩაერია საქმეში, მართალს ძლევა-მოსილი ფრთები შეასხა და გამარჯვება შეაძლებინა.

პონომარიოვის საქმის გარჩევის დროს სასამართლოში გამოწვეულ იქმნა ბელოპოლიდგან სწორედ ის ფოსტალიონი სკრიპკო, რომელსაც დაკეტილ ყუთთან ედარაჯნა 1886 წ. 24 აგვისტოს. ხარკოვში ჩამოსვლისათანავე სკრიპკო სასამართლოს წინაშე-კი არ წარსდგა, საროსკიპოში წავიდა. მთვრალი შემდეგ პოლიციამ ქუჩაზედ იპოვნა და მეორე დღეს-კი აღმოჩნდა, რომ სკრიპკო სწორედ ის შესანიშნავი მოწმე იყო, ურომლოდაც სასამართლომ საქმე გადასწყვიტა კიდეც. ბოქაულმა პოლიცმეისტერს მოახსენა ამ მოწმეს პოვნა, პოლიცმეისტერმა აუწყა ფოსტატელეგრაფის ოლქის უფროსს რადჩენკოს და რადჩენკომ-კი ეჭვი აიღო და თითონ შეუდგა საქმეს. რადჩენკომ ალაპარაკა სკრიპკო, ჰკითხა, ვინ მოგცა ეგ ათ-თუმნიანი, რომელიც ჯიბეში აღმოგაჩნდაო, და იმანაც ერთიან აღიარა დანაშაული, ფულის შესანახი ადგილი დაასახელა, თავის ბრალდების ოქმზედ თითონვე მოაწერა ხელი, და პოლიციიდგან პირდაპირ საპატიმროში იქმნა გაგზავნილი.

წარმოიდგინეთ: არც ფერი წასვლია ამ კაცს, არც ჩაუკეცნია, და ფული კი ამას მოუპარავს, მერე ისე მოუპარავს, რომ კლიტე-ბეჭედი ხელ-უხლებელი დაუტოვებია. აი მართალი სად ყოფილა, ის მართალი, რომელიც სამი წელიწადი თავის თავად ხელში უვარდებოდა გამომძიებელს და იმან-კი ზურგი მიაქცია. კვლავ შეიკრიბნენ მოსამართლენი და ეხლა-კი ორი მსჯავრი დასდეს: პონომარიოვს გამამართლებელი და თავის თავს—გასამტყუნებელი. ბრალმდებელს, აშკარაა, სალაპარაკო და სათქმელი აღარა ჰქონდა-რა; გამომძიებელი, რასაკვირველია, არსად სჩანდა. როცა ბრალმდებელმა მსჯავრ-დადებულს გამოუცხადა ახალი გარდაწყვეტილება პალატისა და აცოდინა, რომ კვლავ გიბრუნებთ თავისუფლებასა და ყოველ გვარს უფლებასაო, პონამარიოვს მდულარება გადმოსცვივდა, მდულარება სიხარულისა, მაგრამ მწუხარებამაც რამდენი დაალერევინა, როცა სასოწარკვეთილი საპატიმროს ცივს კედლებს თავს ახლიდა, ვინ მოსთვლის!

ძალიან შესაძლებელიაო, ამბობს ბოლოს გაზეთი: რომ პონომარიოვს ეხლა ადგილიც კარგი მისცენ, ჯამაგირიც უკლებლივ დაუბრუნონ და იქნება დააჯილდოვონ კიდეც, მაგრამ ვინ-ღა დაუბრუნებს იმ ძალასა რომელიც უნაყოფო ბრძოლამ დაჰკარგა თავისის სიმართლის დასამტკიცებლად, ვინ დაუჯილდოებს იმ სამს წელიწადს გამოვლილ ზნეობრივის წამებისათვის, რომლითაც დასაჯა გამომძიებელმა მხოლოდ იმიტომ, რომ ფული წაუვიდა და ჩამოჯდაო.

ეჰ, ბატონებო, ბატონებო! ადამიანის კანი არ გებრალებათ, ადამიანის ტანჯვა არად მიგაჩნიათ! თქვენთვის ოქმის შედგენა და საპატიმროში ამომწყვდევა ერთი და იგივეა. რაკი ხელში მათრახი გიჭირავთ, ასე გგონიათ, რომ მარცხნივ და მარჯვნივ გადაქნევისა და გადაწნევის ნება გვაქვსო. მერე, რას იტყოდით, პონომარიოვს რომ საპატიმროში თავი ჩამოერჩო, კედლისთვის შეესხა ტვინი და ან სასოწარკვეთილებითა და სირცხვილით გული გახეთქოდა და მომკვდარიყოვო, კითხულობს ბოლოს გაზეთი.

---

# დეპეშა

## 18 იანვარი

პეტერბურგი. საზოგადო კრებამ რკინის გზის მოღვაწეებისამ გადასწყვიტა: რკინის გზით გაგზავნილს ექსპონატებში, რომელიც დანიშნულია გამოსაფენად რომელსამე გამოფენაზე, რუსეთში სრული ფასი გამოერთევათ წესისამებრ, ხოლო როცა უკანვე იქმნან გამოგზავნილი, უფასოდ იყოს ხოლმე მიღებულიო. თვით ექსპონენტებმა წასვლის ფასი სრულად უნდა გადაიხადონ, ხოლო უკან დაბრუნებისას მესამე კლასით უფასოდ იქმნან წაყვანილიო. წევრთა-დელეგატთა უკან წამოსვლისას ფასი არ გამოერთმევათ, რომლის კლასითაც უნდა მიდიოდნენო.

საბოლოოდ შემუშავებულ იქმნა და წარედგინა სახელმწიფო საბჭოს განსახილველად კანონ-პროექტი ნადირობის შესახებ. ამ კანონ-პროექტით ყურის გდება შესაბამის წესების აღსრულებისათვის ვალად დაედებათ ტყის მცველებსა და სასოფლო პოლიციას.

გუშინ გარდაიცვალა პეტერბურგის მომრიგებელ-მსაჯულთა კრების პირველ თავმჯდომარედ ნამყოფი გოფმეისტერი ო. ი. კვისტი.

როგორც გაზეთები ამბობენ, მომცრო ყალიბის ხაზინიანმა თოფებმა ვერ შეიშენიეს ახალი უბოლო თოფის-წამალიო.

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატების მთავრობამ ფორმალურად შეიწყნარა რესპუბლიკა ბრაზილიისა.

## 19 იანვარი

პეტერბურგი. უმაღლესად წაბრძანება: ნება დართულ იქმნას უბაჟოდ გატარება ჩვენს ქვეყნებზე ევროპაში გასაგზავნის სპარსეთის საქონლისა, იმ საქონლისა, რომელსაც წამოიღებენ, ასხაბადსა და სხვა სადგურების გზით იმიერ-კავკასიის მხარეში, უზუნ-ადასა და ბაქოსაკენ, სწორედ იმავ წესით, იქმნას ნება-დართული რა წესითაც ეს უბაჟო გადატანა საქონლისა სწარმოებდა ამიერ-კავკასიაში.

ნიცცა. როცა წარმოადგენს ოპერა „Жизнь за Царя" რუსულს ენაზე მეტეატრის გუნდისა: თეატრში დამსწრე საზოგადოებამ მოითხოვა რუსეთის სახელმწიფო საგალობლის დაკვრა ორკესტრისაგან. საზოგადოებამ საგალობელი ფეხზე დგომით მოისმინა. დაიწყეს მახილი: „გაუმარჯოს რუსეთსაო!"

ათინა. კრიტის კუნძულიდამ მოდის ამბავი, რომ დიდად საფიქრებელია საყველთაო აჯანყება ატყდესო. ქალაქებ გარეშე ოსმალონი ვერსად გამაგრებულან იძულებულნი არიან ციხე სიმაგრეებში შეიხიზნონ.

კვლავ არას სცხრება ხმა, რომ დღევანდელი სამინისტრო დაეცემაო. ტრიკუპისი მეტად ბევრს დაჰპირდა კრიტელებს, ახლა ეფიქრება სათინანსო გაჭირვებისა და ამიტომ თითქმის უნდა კიდეც გადასცეს მართვა-გამგეობის საქმე მოწინააღმდეგე დასს, მაგრამ მოწინააღმდეგე დასი უყოყმობს, რადგან დღევანდელი ყოფა ქვეყნისა გაჭირვებულია.

პეტერბურგის ბირჟა, 16 იანვარი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გარიგებული | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | | „ | 7 | 28 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | | „ | 145¾ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 09 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 243¼ | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 229½ | |
| —მესამისა . . . | — | „ | — | „ | 219 | 62 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

---

# განცხადებანი


წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნის-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა" | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნია ი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . | „ | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| ავა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების" გამოცემა . . | „ | 30 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванию по книгѣ того же автора „Русское Слово". | | 50 |



დაიბეჭდა და ისყიდება
გრ. ჩარკვიანის და რომ. ფანცხავას
ქართულ წიგნის მაღაზიაში
პირველად გამოცემული

## საერო კალენდარი

მხატვრობით
1890 წლისა.

კალენდარში მოთავსებულია ყოველ გვარი კალენდარული ცნობანი და სურათებით არის შემკული.

ფასი 40 კაპ.

იქვე ისყიდება
1890 წლის
კედლის

## ქართული კალენდარი

წელიწადი მეორე

კალენდარი ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა, სახელმწიფო უქმეები, შესანიშნავი ისტორიული მოვლენანი, მთვარის ანგარიში, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ნაკვესიდამ, დამაკვირდიდამ და ქართული საჭმელების მომზადება.

ფასი 40 კაპ.






მომზადება და გასყიდვა, ვითარცა ისეთის წამლისა, რომელშიაც მავნებელი ნივთიერება არა არის-რა გარეული, ნება-დართულია პეტროვსკის გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილების მიერ გაჭრობის საზოგადო საფუძვლით.

ახალი კოლდ-კრემი

## ალდეხიდი

ქიმიკოსის ბლადიოსი

ვინც ყოველ დღე იხმარებს, იმას კანს ურბილებს, უთეთრებს და ჭმუხვნებს შეუმჩნევლად უხდის სახეზედ.

ალდეხიდში არავითარი ქონისებური ნივთიერება არ არის ნარევი და ამიტომ არასოდეს ფუჭდება, ტანისამოსზედ არავითარს კვალს არა სტოვებს, და ასეთი თვისება-კი არც ერთს სხვა კოლდ-კრემს არა აქვს.

უმთავრესი საწყობი იმყოფება მოსკოვში, სტარო-გოსტინის ქარვასლაში, ბ. კრიმერთან. (10—8)



## ОТКРЫТА ПОДПИСКА

на газету

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ"

на 1890 годъ

Газета, не измѣняя своего направленія, и въ будущемъ году будетъ издаваться ежедневно, исключая послѣпраздничныхъ дней. Главнымъ образомъ, какъ и въ предидущіе годы, мы направимъ всѣ свои усилія къ развитію **„МѢСТНАГО ОТДѢЛА"** давая въ немъ возможно полныя свѣдѣнія о **мѣстной жизни, о мѣстныхъ злобахъ дня о вообще и выдающихся событіяхъ и проявленіяхъ общественной жизни**. Еженедѣльно мы будемъ помѣщать по одному ФЕЛЬЕТОНУ, посвященному выдающимъ событімъ **русской и иностранной жизни**. Постоянными сотрудниками, какъ и въ настоящемъ году будутъ:

*Зоилъ, Давидъ Сослани* (**Д. И. Кезели**) и **И. Г. Хечатуровъ**.

**Всѣ годовые подписчики „Тифлисскаго Листка"**, подписавшіеся до 1-го января, получатъ безплатно **„Армянскій Календарь"** на русскомъ (языкѣ), съ предсказаніями, на 1890 годъ.

Эта изящно данная карманная книжка на этотъ разъ, сверхъ общихъ календарныхъ свѣдѣній, будетъ заключать въ себѣ еще; 1) **предсказаніе О ПОГОДѢ Армянскаго Эфемерди, 2) предсказаніе на каждый луный день, 3) наставленія Эфемерди на каждый мѣсяцъ отдѣльно, 4) Образцы народныхъ сказаній и 5) гастрономическій календарь тифлисскаго мокалака.**

Въ частную продажу «Армянскій Календарь» НЕ ПОСТУПИТЪ.

Городскимъ подписчикамъ календарь будетъ доставленъ 1-го января на домъ, а иногороднымъ почтой.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

| Съ доставкой въ Тифлисѣ. | | Съ пересылкой для иногороднихъ. | |
|---|---|---|---|
| На годъ . | 4 р. | На годъ . . . . | 5 р. |
| „ полгода . | 2 „ 50 к. | „ полгода . . . | 3 „ |
| „ 1 мѣсяцъ . | „ 50 „ | „ 1 мѣсяцъ . . . | 1 „ |

ПОДПИСКА и ОБЪЯВЛЕНІЯ принимаются въ конторѣ редакціи „Тифлисскаго Листка"—въ г. Тифлисѣ и въ Москвѣ, въ конторѣ объявленій В. А. Гиляровскаго, Столешниковъ пер., д. Карзинкина.

**Подписка принимается только на вышеуказанные сроки съ 1-го числа каждаго мѣсяца.**


Доз ценз. Тифлисъ 19-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.